



მინდა ვენდო
სასამართლოს!



კოალიცია

დამოუკიდებელი და გამჭვირვალე
მართლმსაჯულებისთვის

მმართველი პარტია მართლმსაჯულების საკითხებს პროპაგანდისტული და პარტიული ინტერესებისათვის იყენებს

კოალიცია დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის საგანგაშოდ მიიჩნევს ხელისუფლების მხრიდან განსხვავებული აზრის მქონე მოსამართლეების დევნას, მართლმსაჯულების საკითხების პროპაგანდისტული და პარტიული ინტერესებისათვის გამოყენებას.

მმართველმა პარტიამ 2024 წლის 20 აგვისტოს გაავრცელა [განცხადება](#) და დეზინფორმაციულ და პროპაგანდისტულ ნარატივებთან ერთად გააკრიტიკა თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის, ევა არეშიძის მიერ ქუჩის საქმეზე გამოტანილი განაჩენი. აღნიშნული განაჩენით მოსამართლე არეშიძემ [სრულად არ გაიზიარა პროკურატურის მიერ საქმეზე](#) წარდგენილი ბრალდება. სწორედ ეს გარემოება გახდა მმართველი პარტიის მხრიდან მოსამართლის კრიტიკის საფუძველი.

ოცნების A მხრიდან აღნიშნული ბრალდებების დაუსაბუთებლობაზე ნათლად მიუთითებს ხორავას ქუჩის საქმეზე შექმნილი საპარლამენტო საგამოძიებო კომისიის

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



შედეგების შესახებ მმართველი პარტიის მიერ **დაინიცირებული** და **მხარდაჭერილი დადგენილება**. დადგენილების მხარდაჭერით ოცნებამ A ირიბად დაადასტურა, რომ მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება იყო მართებული. კერძოდ, დადგენილებაში აღნიშნულია, რომ საქმეზე არის ჩატარებული ან დაგვიანებით არის ჩატარებული ცალკეული საგამოძიებო მოქმედებები დასკვნაში აგრეთვე პირდაპირ არის გაცემული რეკომენდაცია, რომ პროკურატურამ და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ თავიანთ უწყებებში ჩაატარონ სამსახურებრივი შემოწმება, რათა, არსებობის შემთხვევაში, გამოკვეთონ კანონდარღვევა გამოძიებაზე პასუხისმგებელ პირთა მხრიდან და მოახდინონ შესაბამისი სამართლებრივი რეაგირება“.

აღსანიშნავია, რომ ოცნებამ A მიზანში ამოიღო მოსამართლე, რომელსაც რამდენჯერმე აქვს დაფიქსირებული განსხვავებული, კრიტიკული მოსაზრება სასამართლოში განვითარებულ პროცესებსა თუ მიმდინარე რეფორმებზე. მოსამართლე ეკა არეშიძე არის **კონსტიტუციური სარჩელის** თანაავტორიც, რომლითაც გასაჩივრდა 2021 წლის დეკემბრის **უკიდურესად კრიტიკულად შეფასებული** ცვლილებები სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში.

განსხვავებული აზრის მქონე მოსამართლეებზე პოლიტიკური თავდასხმები ოცნების A ხელწერად იქცა. მაგალითად, მიმდინარე წელს ირაკლი კობახიძემ **არაკუთილსინდისიერი უწოდა** უზენაესი სასამართლოს ერთ-ერთ იმ მოსამართლეს, რომელმაც მხარი დაუჭირა ევროკომისიის რეკომენდაციას, ქვეყანაში შეიქმნას მოსამართლეთა კეთილსინდისიერების შემოწმების ექსტრაორდინალური მექანიზმი.

20 აგვისტოს განცხადება ნათელი მაგალითია, რომ მმართველი პოლიტიკური ძალა არ ერიდება განსხვავებული აზრის ან პოზიციის მქონე მოსამართლეებზე ბენოლას, მართლმსაჯულების ინსტრუმენტალიზაციასა და მოსამართლეთა გარეგან შეთქმულების თეორიებში.